სს ,,ენერგოკავშირი“-ს

სამეთვალყურეო საბჭოს

რისკების მართვის კომიტეტის დებულება

დამტკიცებულია სს ,,ენერგოკავშირის“

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ

20.03.2025წ.

1. უფლებამოსილება და მიზნები

კომიტეტი სხვა ფუნქციებთან ერთად:

ა) განიხილავს რისკის სტრატეგიებს როგორც აგრეგირებული, ისე ინდივიდუალური რისკის ჭრილში და აწვდის შესაბამის რეკომენდაციას სამეთვალყურეო საბჭოს.

ბ) ამზადებს და სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშგებას საწარმოში არსებული რისკის კულტურის შესახებ და განიხილავს საწარმოს რისკის პოლიტიკას, სულ მცირე ყოველწლიურად;
გ) მონიტორინგს უწევს გენერალური დირექტორის მხრიდან საწარმოს საქმიანობის რისკის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფას;

დ) რეკომენდაციას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს რისკის სტრატეგიებისა და სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტურობის თაობაზე, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკებისთვის საკმარისი კაპიტალის შენარჩუნებასა და განაწილებაზე.

კომიტეტს, ზემოთ აღნიშნული ფუნქციების გარდა, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება დაევალოს სხვა ფუნქციის განხორციელებაც.

რისკების და აუდიტის კომიტეტს შორის არსებობს ეფექტური კომუნიკაცია და კოორდინაცია, რაც მოიცავს მათ შორის ინფორმაციის გაცვლას, ყველა სახის რისკის გათვალისწინებას, ნებისმიერი სახის შესწორების შეტანას საწარმოს რისკის მართვის ჩარჩოში.

2. შემადგენლობა

კომიტეტი შედეგება სამეთვალყურეო საბჭოს სულ მცირე ორი წევრისგან, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის გაზრდის შემთხვევაში გაიზრდება კომიტეტის შემადგენლობაც.

კომიტეტის წევრებს და თავმჯდომარეს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო, რომლებიც თავის ფუნქციას ასრულებენ იქამდე, სანამ სათანადო წესით არ აირჩევენ და დამტკიცდებიან მათი შესაბამისი შემცვლელები. სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გაანთავისუფლოს კომიტეტის წევრი თანამდებობიდან.

3. მოვალეობები და პასუხსიმგებლობები

კომიტეტს მისი უფლებამოსილების და მიზნის შესაბამისად ეკისრება შემდეგი მოვალეობები და პასუხისმგებლობები:

1. განიხილავს და აფასებს გენერალური დირექტორის მიერ აღმოჩენილ კომპანიის საქმიანობის მნიშვნელოვან რისკებს და კომპანიის მიერ ასეთი რისკების შერბილებისთვის გატარებულ ღონისძიებებს.
2. განიხილავს ძირითად ფინანსურ რისკებს, საფრთხეებსა და კომპანიის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს.
3. განიხილავს კომპანიის რისკის მართვის საქმიანობების შემაჯამებელ ანგარიშს, საჭიროებიდან გამომდინარე მისცემს ცვლილებების შეტანის რეკომენდაციას ამგვარი რისკების მართვის ღონისძიებებში.
4. განიხილავს სადაზღვეო პროგრამებს და პოლისებს, ქონების დაზიანების, საქმიანობის შეწყვეტის და სხვა არსებით საფრთხეებს, ანგარიშს წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით.
5. სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს მისი საქმიანობის, მოკვლევებისა და რეკომენდაციების შესახებ.
6. აცნობებს სამეთვალყურეო საბჭოს მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესრულების პროცესში გამოვლენილი მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.
7. აფასებს კომპანიაში მოქმედი რისკის მართვის წესებსა და პროცედურებს და სამეთვალყურეო საბჭო აძლევს ამგვარ პროცესებში ცვლილებების და გაუმჯობესებების განხორციელების რეკომენდაციას.
8. კომიტეტის წევრებს უფლება აქვთ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით შეხვდნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, გენერალურ დირექტორს კომიტეტის წევრებს.

4. კრებები და ოქმები

1.კომიტეტი იკრიბება იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭიროდ ჩათვლის, თუმცა სულ მცირე ორჯერ წელიწადში.

2. თავმჯდომარე გეგმავს კომიტეტის კრებებს და განსახილველ საკითხებს, ადგენს დღის წესრიგს.

3. კომიტეტის ოქმს ადგენს კორპორაციული მდივანი ან თავმჯდომარის მიერ დანიშნული პირი, რომელიც მოქმედებს მდივნის უფლებამოსილებით. ამზადებს ოქმს, რომელსაც ხელს აწერს კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები.